

**შეტყობინება მეცხრე
ბროწეულების მიწა**

ადგილები წერილიდან: ოჯღ. 8:8; გამ. 28:33-34; 3 მეფ. 7:18-20; ქებ. ქ. 4:3ბ, 13ა; 2 პეტ. 1:3-8

- I. ბიბლიაში ბროწეულები აღნიშნავს სიცოცხლის სისავსეს, სიცოცხლის სიუხვესა და სილამაზეს, და ასევე სიცოცხლის სიმდიდრის გამოხატულებას – ოჯღ. 8:8; გამ. 28:33-34; 3 მეფ. 7:18-20; ქებ. ქ. 4:3ბ, 13ა:
- ა. დამწიფებული ბროწეული თავისი მარცვლებით წარმოქმნის სიცოცხლის სისავსისა და სიცოცხლის სიუხვისა და სილამაზის შთაბეჭდილებას.
 - ბ. თუ ჩვენ განვიცდით ქრისტეს როგორც ხორბალს, ქრისტეს, ვაზს და ლევს და ვტკბებით ასეთი ქრისტეთი, ჩვენთან იქნება ქრისტეს სიცოცხლის სიუხვე და ჩვენ ვიქნებით განსხვავებულნი ქრისტეს სილამაზით; ეს არის ქრისტეს როგორც ბროწეულის განცდა.
 - გ. თუ ჩვენ გავიზრდებით სიცოცხლეში სიმწიფისათვის, ჩვენ გავხდებით ბროწეულები – კოდ. 2:19; 1:28:
 1. რაც უფრო მეტად ჩვენ გვენდომება, რომ ვიყოთ მართულნი სიყვარულით უფალ იქსოსადმი, მზად ვიქნებით, რომ ნება მივცეთ მას, გვმართოს ჩვენ და შეგვზღუდოს ჩვენ, უფრო მეტად გავიზრდებით სიცოცხლეში – მუხ. 13, 28.
 2. თუ ჩვენ დავინახავთ ხედვას ქრისტეს ყოვლისმოცველობისა და ვრცელობისა, ჩვენ კონცენტრირებულნი ვიქნებით მთელი ჩვენი არსებით ამ ქრისტეზე და ის აგვაგსებს და გაგვადენოს ჩვენ – მუხ. 12; 2:9, 16-17; 3:10-11:
 - ა). ჩვენი არსება იქნება დაკავებული უზარმაზარი, აურაცხელად მდიდარი, ვრცელი ქრისტეთი – ეფეს. 3:18.
 - ბ). ჩვენთვის სიტევა „ცხოვრება“ იქნება ქრისტე, რომელიც მოგვიპოვებს ჩვენ და აგვაგსებს და დაგვიკავებს ჩვენ თავისით – ფილიპ. 1:20-21ა; ეფეს. 3:17ა.
 3. ვიყოთ ზრდასრულნი ქრისტეში – ნიშნავს, ვიყოთ აგსებულნი, გაუდენთილნი და გამსჭვალული ქრისტეთი – კოდ. 1:28:
 - ა). ეს ნიშნავს, რომ ყველა ნაწილი ჩევნი არსებისა იქნება დაკავებული ქრისტეთი – ეფეს. 3:17ა; გალ. 4:19.
 - ბ). აი ეს არის სიცოცხლეში ზრდა და სიცოცხლეში სიმწიფე, ქრისტეს განცდის შედეგი, გახსნილი კოლასელთა მიმართ წერილში – 2:9, 19; 3:4, 10-11.
- II. ბროწეულები და ოქროს ზარები იყო მღვდელმთავარის სამოსელის კალთებზე, რაც აღნიშნავს ეკლესიას – გამ. 28:33-34:
- ა. ეკლესია უნდა იყოს სავსე სიცოცხლით თავის ადამიანობაში; ასეთია მნიშვნელობა ბროწეულებისა, რომლებიც გაკეთებული იყო სელისგან.
 - ბ. ეკლესიას ააქვს ადამიანობა სიცოცხლის სისავსის გამოხატვისათვის, და ასევე დვთაებრიობა ოქროს ზარების კლერიკობისათვის:
 1. სიცოცხლის სისავსე გამოხატულია ეკლესიის ადამიანობაში, ხოლო გაფრთხილების ხმა გამოხატულია ეკლესიის დვთაებრიობაში (ოქროს ზარები).
 2. თავიდან ჩვენ გვაქვს სიცოცხლის სისავსის გამოხატულება, ხოლო შემდეგ ოქროს ზარების კლერიკობა, ანუ, ლაპარაკი, გამომავალი ეკლესიის დვთაებრიობიდან.
 3. სიცოცხლის სილამაზე, გამოხატული ჩვენს ადამიანობაში, და დვთაებრივი კლერიკობა ოქროს ზარებისა – არის ნიშნები სათანადო ეკლესიური ცხოვრებისა.

- III.** ორასი ბროწეული, რომლებიც გარს ერტყა გვირგვინებს სვეტების თავზე ტაძარში, აღნიშნავს სიცოცხლის სიმდიდრის გამოხატულებას – 3 მევ. 7:18-20; 2 ნეშ. 3:15-16; იერ. 52:22-23:

 - ა. ის, ვინც ასამართლებს თავის თავს (ბრინჯაო) და თავის თავს თვლის არაფრად, შეუძლიათ ატარონ პასუხისმგებლობა სისავსეში დაწეულ და დაბნეულ სიტუაციებს შორის (ბადე დაწეული სამუშაოსი და გვირგვინები ზარებით), რადგან ისინი ცხოვრობენ არა თავისით, არამედ რწმენით ღმერთში (სამუშაო შროშანის მსგავსი); ასე ისინი გამოხატავენ სიმდიდრეს სიცოცხლისა თრასმაგი ზომით (ბროწეულები) – 3 მევ. 7:15-22.
 - ბ. ყოველი ასი ბროწეულიდან ოთხმოცდათექვსმეტი იყო გახსნილი და მიმართული ჰაერში, ოთხი იყო დახურული – იერ. 52:22-23:
 1. სიცოცხლის სიმდიდრის გამოხატულება არის მარადიულად დასრულებული, აღდგომის სიახლეში, და ასევე სულში.
 2. ის, რომ ოთხი ყოველი ასი ბროწეულიდან იყო დახურული, აღნიშნავს, რომ ჩვენი ბუნებრივი არსება, ჩვენი ბუნებრივი სიცოცხლე და ჩვენი „მე“ უნდა იყოს დაფარული.
 3. როდესაც ჩვენი ბუნებრივი არსება ქრება, ჩვენ გვიჩნდება ოთხმოცდათექვსმეტი ბროწეული, მდიდარი გამოხატულება ქრისტეს სიცოცხლისა სულიერი ჰაერის სინამდვილეში.

IV. ქებათა ქების თანახმად, ბროწეულებს აქვთ სულიერი მნიშვნელობა თანმიმდევრულ განცდაში ცალკეული მორწმუნისა ქრისტესთან სასიყვარულო ურთიერთობაში – 4:3ბ, 13ა; 6:7, 11; 7:12; 8:2ბ:

 - ა. „შენი დაწვები ბროწეულის ლებნები შენი პირბადის ქვეშ“ – 4:3ბ; 6:7.
 - ბ. „კალიანში ჩავედი მწვანე ჭალების სანახავად; მენახა, თუ აყვავდა ვაზი, თუ გაიფურჩენა ბროწეული“ – მუხ. 11.
 - გ. „ადრიანად გავიდეთ ვენახებში, ვნახოთ, თუ იფეთქა ვაზმა, კვირტი თუ გაიფურჩენა, თუ აყვავდა ბროწეული. ჩემს ალერს იქ მოგიდფვნი“ – 7:12.
 - დ. „მე კი სურნელოვან დვინოს, ჩემი ბროწეულის წვენს შეგასმევდი“ – 8:2ბ.
 - ე. „შენი ყლორტები ბროწეულის ბაღია, რჩეული ნაყოფით“ – 4:13ა:
 1. როდესაც ქრისტე ტპბება თავისი მოყვარულით, ის არის მისთვის დახურული ბაღი, რომელშიც იზრდება ყველანაირი მცენარე სხვადასხვა ფერის (სხვადასხვა გამოხატულება შინაგანი სიცოცხლისა) და სხვადასხვა არომატის (უხვი გამოხატულება მოწიფული სიცოცხლის) – მუხ. 13-14.
 2. ეს ხდება სილამაზე მოყვარულისა უფლის თვალში; ქრისტეს მოყვარული ახლა მდიდარია სიცოცხლეში: მას მოაქვს ნაყოფები, რომლებიც კვებავენ და აახლებენ, გამოსცემენ ტკბილ არომატს და არიან ლამაზი ყვავილები ქრისტეს ტკბობისათვის.

V. მე-2 პეტრეს 1:3-8-ში ჩვენ ვხედავთ განვითარებას აღმატებული სათნოებებისა და გთავაზრივი ბუნებით ტკბობის მეშვეობით:

 - ა. „ყველაფერი, რაც დაკავშირებულია სიცოცხლესა და დათისმოსაობასთან“ – არის სხვადასხვა ასპექტები და გთავაზრივი სიცოცხლის, რომლის წინასახეც არის კეთილი მიწის ნაყოფების სიმდიდრე – მუხ. 3:
 1. სიცოცხლე არის შიგნით და ნებას გვაძლევს ჩვენ, რომ ვიცოცხლოთ, ხოლო დათისმოსაობა არის გარეთ როგორც გარეგნული გამოხატულება შინაგანი სიცოცხლისა.

2. სიცოცხლე არის შინაგანი ენერგია, შინაგანი ძალა, რათა წარმოქმნას გარეგნული დვთისმოსაობა, რომელსაც მივყავართ დიდებისაკენ და რომლის შედეგიც არის დიდება.
- ბ. რწმენა შეიძლება ჩავთვალოთ სიცოცხლის ყოვლისმომცველ თესლად, ხოლო სიყვარული – ნაყოფად მის სრულ განვითარებაში – მუხ. 3, 8.
- გ. საბოლოოდ ჩვენ გვექნება სრული განვითარება და სიმწიფე სიცოცხლეში: რწმენის თქსლიდან საონებებისა და ცოდნის ფესვების მეშვეობით, დერო თავდაჭერისა და ტოტები მოთმინებისა და დვთისმოსაობისა ყვავილობისათვის და ნაყოფისათვის ძმათმოყვარეობისა და სიყვარულისა – მუხ. 5-8.